სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 დეკემბერი 2005 №299 (2622) ფასი 50 თეთრი

ძალის ნელს ნარმატებამ ძალვით გვიერთგულოს!

მრავალ ახალ ნელს!

მომდევნო სარბიელი გამოვა 9 იანვარს

ბევრია თუ ცოტა 15?

ერთიანი ბიბ-ი-ოთეკა

გიო ახვლედიანის

სვეტი

სახლის ამბავი

გამოირკვა, რომ ჩვენი გაზეთი თხუთმეტი წლის შექნილა სწორედ დღეს.

„გამოირკვა“ იმიტომ, რომ ცხოვრების ამბიდან გამომდინარე, თარიღებს არ დაუფიქრდები ხოლმე. ათი წლის მომრგვალება რომ იყო, ეს კი მახსოვდა იმიტომ, რომ მაშინ პირველ გვერდზე დიდი ათიანი ეხატა, რომელშიც ფეხბურთელები იყვნენ ჩასურათებული. ასე მახსოვს, მაგრამ ხუთი წელიწადი თუ გავიდა ამ ნომრიდან, ნამდვილად არ მიფიქრია.

ამ თხუთმეტი წლიდან ცხრა მეც ამ რედაქციაში გავატარე. ბოლო ცხრა, რა თქმა უნდა. როგორც იტყვიან, შემოვრჩი. გულახდილად რომ ვთქვა, შემორჩენა ცუდი არ გამოვიდა. საერთოდ, რედაქციამ ეგრე იცის, რომ თუ სწორად შედგი ფეხი, მერე გამოსვლა ჭირს.

სპორტული გაზეთები ისედაც გამოირჩევა სხვა გაზეთებისგან დარგისადმი ფანატიკური სიყვარულით. ამ ძველმოდურ ფრაზას თუ გავაგრძელებთ, ისე გამოვა, რომ გაზეთში მუშაობა ჯადოსნური საქმეა. ძნელია, არც მთლად ლხინიანია (როგორც წარმოუდგენიათ ხოლმე, სპორტულ გაზეთებში დათრობა უყვართო), არც მთლად იოლი, მაგრამ ხელის ჩაჭიდება იცის.

ალბათ სხვებთანაც ასე იქნება, ჩვენი რედაქცია კი ოცდან ორმოცდაათ წლამდე კაცებით სავსე სახლს ჰგავს, სადაც მთავარი ის არის, რომ ყველაფერი შინაურულია, ცუდიც და კარგიც. რახან შინაურულია, ესე იგი, შენია. რახან შენია, ესე იგი, ძნელი დასათმობია. რახან ძნელი დასათმობია, ესე იგი, არ უნდა დათმო.

აი, ახლა, ამ სვეტს რომ ვწერ, სინათლე არ არის, დვიჟოკს კი რაღაც ჩაეხვა. ლადომ უშველებელი ჩანთით ფორთოხლები მოიტანა და კომპიუტერების ოთახში მაგიდაზე დადო. ბადრიამ საახალწოდ თავისი გადაღებული ფოტო მაჩუქა. თაზო მასწი წუხანდელ სიცივეზე ლაპარაკობს. გოგოები მზის მხარის ფანჯრებთან თბებიან, დაცვის არტურა კიდევ ხმადაბლა ჰყვება ანეკდოტს. მოკლედ, სახლია, სახლია, რა...

და სახლის ამბავს მაყოლებთ?

ალბათ, სულაც არ არის საინტერესო თქვენთვის, თორემ ჩემთვის ეგებ ყველაფერიც იყოს.

№1 28.12.1990

სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ნომერშია:

ჩვენ და ისინი
„ქართული სპორტის ინტერესები უპირისპირდება... სსრკ-ს ინტერესებს.“
გვ. 3 სასრ.

«ნაპოლეონმა» დაიყოლია «კაიზერი»
გერმანიაში „სარბიელის“ საკუთარი კორესპონდენტის დავით კაკაბაძის პირველი წერილი.
გვ. 4 სასრ.

ლელა მესხი... ლამაზი საქართველოდან
ინტერვიუ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელთან
გვ. 5 სასრ.

დიდი მოთამაშის ფესვები
„ია“ საქართველოს ჩემპიონია
გვ. 6 სასრ.

ფლორენსიო კამპომანესი:
„მე ჭკვიანი ქალები მომწონს“.
სასრ. ბოლო



«ფეხბურთში ხელი მოჰკიდა. თავდადმა დააყირაო. საცეცხლურივით დაკმეგა. ოთხკუთხივ დაუპირაო: ამისი მაკშრომელი სუყველა გააკვირვაო».

აკაკი

გამარჯობა, ჩვენო მკითხველო!

ჩვენ საუკუნე სპორტის საუკუნეცა. სპორტის მნიშვნელობის ო�sანონ. ხარის კალიბაზე უფრო და უფრო იკრეს ძალას მისი უფლისა ძმა – სპორტული ეფონალისტიკა – ერთიანი ოლად ძალი ფიზიკური შეფერებული და მეხიტაცი. ახლა როგორც იტყვიან, ინფორმაციული ბუმი და სპორტიც ლიმწყვლად მითიულის. ოაკეთ ნელს, ნელს, რომელიც ვანეხარვლად ირიგება და უნდა გაიხარეს კიდეც.

ამ რეფენინა და იმედთ კეთილიდეულს, მეკოლეგა სამშეფოფოფეფეფეფეფეფეფეფეფ ... „სარბიელი“ ეკერკერთან უფლოა ოლენოეთის შიმ რეფეფეფეს კი, ესე იგი ჩვენ, ეკონრეფლად გვსურს იქცეს ახალი გაზეთი

ოლენ ... ...

ბილოცავთ

ზოგა-ახალ

წელს

ჯეოსელი
GEOCELL

კალაძე, ფიფა და ბავშვები

კლაუს ტოპმიოლერი და ჩვენ: ერთ გუნდად, ერთ მუშტად

3ᲝᲒ მოთვლის, რამდენი ბავშვი ნატრობს კახა კალაძის ნახვას და მისგან საახალწლო საჩუქრების მიღებას. ალბათ ყველა, ვისაც ფეხბურთი უყვარს...

კახა კალაძე ფიფას ელჩი გახდა საქართველოს SOS ბავშვთა სოფელში. დღეისთვის საქართველოში რამდენიმე ასეთი სახლია და პროექტის მიზანია, მშობლიური გარემო შეექმნათ მშობელთა ზრუნვას მოკლებულ და დაუცველ ბავშვებს.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე 14 ნოემბერსაც იყო ბავშვთა სოფელში და სიამოვნებით მიიღო შეთავაზება, ფიფას ელჩი გამხდარიყო.

კალაძე გუშინაც ესტუმრა ბავშვთა სოფელ „თბილისს". კახას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ფიფას სერთიფიკატი და ზრუნვას მოკლებული ბავშვების გახარება უნდა გენახათ. კახასთან ერთად იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე.

ნოდარ ახალკაცმა თქვა, დღეს კახა კალაძის ცხოვრებაში განსაკუთრებული დღეა, ბავშვებს დიდი სიხარული აჩუქა და იგი ყოველთვის მზადაა მსგავსი დახმარებისთვისო.

„ძალიან მოხარული ვარ, რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ ბავშვებისთვის, ყველას ვულოცავ ახალ წელს, რომელიც ბედნიერების მომტანი უნდა გახდეს" — თქვა კახა კალაძემ, შემდეგ კი ბავშვთა თხოვნით, ოთახში გაკრულ მის პლაკატებზე ავტოგრაფები დატოვა.

„მილანის" მცველმა ბავშვების მიერ შესრულებულ სიმღერებსაც უსმინა, კონცერტის დასრულებისთანავე კი ბურთები, „მილანის" 4-ნომრიანი მაისურები და ნაირგვარი საჩუქრები დაურიგა ბავშვებს.

კახა კალაძე ახალ წლამდე ქუთაისის ბავშვთა სოფელს, ასევე ძეგვისა და გლდნის ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა სახლებს ესტუმრება.

ბუნებრივია, კახამ ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და სალაპარაკოც ცოტა არ იყო — საქართველოს ნაკრებში ხომ ტოპკლასის სპეციალისტის, კლაუს ტოპმიოლერის ერა იწყება...

— ცხადია, მოხარული ვარ, ასეთი მაღალი დონის მწვრთნელი რომ გაგვიძღვება. ფეხბურთელები ყველაფერს გავაკეთებთ, პროფესიონალები ვართ და საქმეს პირნათლად შევასრულებთ.

— ნაკრების ფეხბურთელები თუ შეეხმიანეთ ერთმანეთს და ტოპმიოლერზე აზრი თუ გაუზიარეთ?

— არა. ისედაც ყველასთვის ცნობილია, რომ უკვე მაღალი დონის მწვრთნელი გვყავს.

— უცხოეთში სულ ცნობილ მწვრთნელებთან გიმუშავიათ, მშვენივრად იცით მწვრთნელის ფაქტორი და რას უნდა ველოდოთ ტოპმიოლერისგან?

— კლაუს ტოპმიოლერს ძალიან ბევრი სამუშაო ექნება. ცხადია, იმას ვერ ვიტყვი, რომ ამ მწვრთნელის მოსვლა უკვე ფინალურ ეტაპზე გასვლას ნიშნავს. წარმატების მიღწევას დრო სჭირდება.

— კლაუს ტოპმიოლერს ნაკრებში არასოდეს უმუშავია და ამაში თუ ხედავთ დიდ პრობლემას?

— არა მგონია, დიდი განსხვავება იყოს. უბრალოდ, კლუბში ყოველდღიურად გიწევს ფეხბურთელებთან მუშაობა, თორემ ტოპმიოლერის დონის სპეციალისტისთვის ნაკრების ღირსეულად გაწვრთნა არ უნდა იყოს პრობლემა.

— აქამდე ნაკრებში ჩამოსულ უცხოელ მწვრთნელებს ქართული მენტალიტეტის პრობლემაზე ხშირად დაუჩივლიათ...

— ნაკრების მოთამაშეების 90 პროცენტი უცხოეთში ვთამაშობთ და ჩვენგან არანაირი პრობლემა არ შეექმნება ტოპმიოლერს.

— მალტის ტურნირი ტოპმიოლერის პირველი გამოცდა იქნება...

— ვადები ისეა, რომ ამ ტურნირის პირველ მატჩში ყველა ლეგიონერი ვიქნებით, მერე კი, არა მგონია... ყველა ლეგიონერი რაღაც ძალას წარმოვადგენთ კლუბებში და ალბათ ნაკრებში არ გამოგვიშვებენ.

— „მილანში" თუ გაიგეს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრებში დანიშვნის ამბავი?

— არ ვიცი, მაგ დროს უკვე წამოსული ვიყავი.

— „მილანის" ბოლო თამაშებში ცენტრალურ მცველად თამაშობ და ეს როგორ მოგწონს?

— არანაირი პრობლემა. კარიერა სწორედ ცენტრალურ მცველად დავიწყე. მგონი, ამიერიდან „მილანში" სულ ამ პოზიციაზე ვითამაშებ.

— სკუდეტოსთვის ბრძოლაში „იუვენტუსს" საკმაოდ ჩამორჩებით. კიდევ გაქვთ ჩემპიონობის იმედი?

— სერია A ისეთია, სამ-ოთხ ტურშიც შეიძლება „იუვენტუსის" დაწევა. „იუვემ" პირველი წრე ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ ჯერ ფარ-ხმალი არ დაგვიყრია.

ილია ნანობაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ნაღიმილო მომენტები

ერთიანი ბიბლიოთეკა

გაჭირვება მანახე და პაპიროზს განახებ

„რომელ შედეგზეა ლაპარაკი, ჩემ ფეხბურთელებს პაპიროზის ფული არა აქვთ“ — ეს მარგალიტი სიტყვები ერთ-ერთი უმაღლესლიგელი გუნდის აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე თქვა...

როდის გავიტანეთ, ტო?!

ვინ გითხრათ, რომ საქართველოს ჩემპიონატში ემოციები და ნერვების წყვეტა არ არის? აგერ, ბატონო, თბილისში, „ოლიმპის“ სტადიონზე ერთ-ერთი მატჩის გაგანია მეორე ტაიმია, ერთ-ერთი ფეხბურთელი სწრაფად გაიქცა აუტიდან ბურთის შემოსატანად და გულშემატკივრებს ქოშინით შეეკითხა, რა ანგარიშიაო...

მაყურებლებმა გაკვირვებით უპასუხეს — 2:1-ს იგებთო და მოთამაშემაც ტემპი შეანელა, რა მაქვს საჩქაროო, თან თავისთვის ჩაიდუდუნა — ის მეორე ბურთი როდისღა გავიტანეთ, ტო...

არ იცოდა კაცმა და...

იმპერატორი ოპერატორი

ფოთში, „ფაზისის“ სტადიონზე უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი შეხვედრაა. სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა. ის იყო, „კოლხეთის“ ერთ-ერთი ფეხბურთელი თერთმეტმეტრიანის შესასრულებლად მოემზადა, ტრიბუნიდან ოპერატორმა მიაძახა — ჯერ არ დაარტყაო. სანამ არბიტრი და ფეხბურთელები გაკვირვებას მოასწრებდნენ, ოპერატორმა საქმიანი იერით გადაჭრა მოედანი, შტატივი საჯარიმო მოედანში პენალტის ნიშნულის სიახლოვეს გამართა და დარტყმის განკარგულება გასცა...

აქ რა ქნა, იქ რას იზამდა

უძველ ძველი ამბავია და ალბათ არავის ეწყინება: ალბანეთში საქართველოს ნაკრებმა 1:3 რომ წააგო, თუ გახსოვთ, მაშინ ფეხბურთის ფედერაციის იმჟამინდელ პრეზიდენტ და ნაკრების დროებით მწვრთნელ მერაბ ჟორდანიასა და ფეხბურთელ გოგა გახოკიძეს შორის კონფლიქტი მოხდა. გახოკიძე თამაშს ითხოვდა, ხოლო მწვრთნელმა არ ათამაშა. მატჩისას დაწყებული გაწევ-გამოწევა შემდეგ გასახდელშიც გაგრძელდა. გოგას დაშოშმინებას მთელი გუნდი ამაოდ ცდილობდა. ბოლოს, როგორც იქნა, განერვიულებულ ფეხბურთელს გასახდელი დაატოვებინეს, გიორგი დემეტრაძემ კი ჩვეულად იანგლა: რას ერჩოდით გახოკიძეს, ეთამაშა, აქ მთელმა გუნდმა ვერ დავაკავეთ და მოედანზე ხომ ალბანელებს შავ დღეს დააყრიდაო...

ჩართე სპოროსტი

თამაშის განხილვა ისეთი რამაა, ჟოზე მაურინიუ, რაფა ბენიტესი და სხვები, ალბათ, ათასგვარ რაკურსებს ატრიალებენ ვიდეოფირზე, კომპიუტერზე...

აგერ, ერთ-ერთი უმაღლესლიგელი ქართული კლუბის პრეზიდენტი მოთამაშეებს კაბინეტში თამაშის კასეტას ჩაურთავს, ფირის ბრუნვას ააჩქარებს და... აი, ასე უნდა ირბინოთო.

შენ დაუკა...

სტილისტი სოსო

საქართველოს ჩემპიონატია და იქ რაც არ მოისმინო, ის გაგიკვირდეს...

ფოთის „კოლხეთმა“ თბილისის „სპარტაკს“ მოუგო და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ სერიოზულად ისროლა ასეთი ფრაზა: „სპარტაკელები გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. ამ გუნდს ლობანოვსკის ტაქტიკა და სტილი ეტყობა“...

დაგერტყა პირდაპირ

თბილისის „დინამომ“ შარშან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ლისაბონის „სპორტინგს“ უმასპინძლა და 0:4 დამარცხდა. სტუმრებმა ერთ-ერთი გოლი თბილისელი მცველის შეცდომით გაიტანეს — მეკარისთვის ჩაფიქრებული პასი „სპორტინგის“ ფორვარდმა ჩაჭრა და ისარგებლა კიდეც. ამ ეპიზოდს გაგრძელება მოგვიანებით ჰქონდა, როცა „დინამოს“ კაპიტანმა გიორგი ნეშსაძემ მცველს „სპორტინგის“ გოლი გაახსენა და უთხრა: პასი ზედმეტი იყო, პირდაპირ კარში უნდა დაგერტყაო...

2005 წლის მთავარი

გაფრი კეთილაძის ფოტო

მერაბ ჟორდანია ქართულ ფეხბურთს გაეყარა

გაფრი კეთილაძის ფოტო

ფრანგმა ალენ ჟირესმა ქართული სკამი დიდხანს ვერ შეინარჩუნა

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ცუნამით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით ანდრეი შევჩენკომ და რონალდინიომ საქველმოქმედო შეხვედრა გამართეს. მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში, რომელსაც შევჩენკო კაპიტნობდა, კახა კალაძემაც ითამაშა.

წლეულსვე კალაძე გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) ელჩად დაინიშნა.

.....

საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა ფიფას ვიცეპრეზიდენტი მიშელ პლატინი, რომელიც უეფას პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლება. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას აუდიენცია ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. სხვათა შორის, ამ შეხვედრას არ დასწრებია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია.

.....

წლეულს ქართული ფეხბურთი ორ ლეგენდას დაემშვიდობა — გაიოზ ჯეჯელავას და გივი ნოდიას გარდაცვალებით ჩვენს საფეხბურთო ისტორიაში ორი დიდი ეპოქა დასრულდა.

.....

„ბილეთების სკანდალის“, საბერძნეთისა და თურქეთის ნაკრებებთან მარცხის, აგრეთვე კულტურისა და სპორტის მინისტრ გოკა გაბაშვილთან ღია დაპირისპირების შემდეგ მერაბ ჟორდანიას დაპატიმრება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნამდვილად არ ჰგავდა. გამოძიებამ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტობის წლებში ფინანსურ დარღვევებში კიდევ ერთხელ დასდო ბრალი სფფ-ის პრეზიდენტს, რომელმაც დაპატიმრებიდან მეორე დღეს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ბრძანა და უფლებამოსილება მოიხსნა.

.....

11 ივნისს ფეხბურთის ფედერაციის მეცხრე, რიგგარეშე ყრილობამ რიგით მესამე პრეზიდენტად ნოდარ ნოდარის ძე ახალკაცი აირჩია.

საარჩევნო კამპანიაში ოფიციალურად ოთხი კანდიდატი მონაწილეობდა, თუმცა ვლადიმერ გუცაევმა, რევაზ არველაძემ და გიორგი ნემსაძემ კანდიდატურები მოხსნეს. ყრილობის 26 ხმოსანი დელეგატიდან ახალკაცის არჩევას 25-მა დაუჭირა მხარი. ერთმა დელეგატმა თავი შეიკავა.

.....

30 ივლისს დაიწყო საქართველოს მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატი. ნოდარ ახალკაცის გადაწყვეტილებით, რომელსაც ფედერაციის აღმასკომმაც დაუჭირა მხარი, უმაღლეს ლიგაში გუნდების ოდენობა თექვსმეტამდე გაიზარდა. წინა ჩემპიონატში მოასპარეზე ათ გუნდს ოთხი („ამერი“, „ბორჯომი“, „კახეთი“, „სპარტაკი“) სპორტული პრინციპით დაემატა, კიდევ ორმა კი („ცხინვალი“ და „სოხუმი“) „პატრიოტული მოტივით“ დაიმსახურა უმაღლესი ლიგის საგზური.

.....

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს ალენ ჟირესი. ოფიციალურ მოტივად ფრანგი სპეციალისტის მიერ საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობა დასახელდა, რომლის თანახმადაც ჟირესს საქართველოს ნაკრები იმ დონემდე უნდა მოემზადებინა, რაც შესაძლებელს გახდიდა ჯგუფში მეორე ადგილისთვის ბრძოლას.

ცნობისთვის: ჟირესის გათავისუფლებისას საქართველოს ნა-



გაფრი კეთილაძის ფოტო

ლეგენდარული მიშელ პლატინი თბილისში



ლევან კობიაშვილი: ჩემპიონთა ლიგაში პირველი ქართული ჰეთ თრიქის ავტორი

გაფრი კეთილაძის ფოტო

გაიოზ დარსაძე

ნოდარ ახალკაცს არჩევნებში მოცილე აღარ ჰყავდა

ამბავ-ხაბარი

კრებს შესარჩევი ეტაპის თორმეტიდან ხუთი მატჩი გასამართი ჰქონდა და კიდევ ინარჩუნებდა მეორე ადგილის დაკავების თეორიულ შანსს.

.....

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა გაიოზ დარსაძე, რომელიც იმავდროულად ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი და ნაკრები გუნდების დეპარტამენტის ხელმძღვანელიც იყო. პირველ ეტაპზე დარსაძეს მწვრთნელის მოვალეობის შესრულება დაევალა, ყაზახეთისა (2:1 სტუმრად) და უკრაინის (1:1 შინ) ნაკრებებთან შეხვედრების შემდეგ კი ფედერაციამ მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

.....

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრმა კლუბი გამოიცვალა: შოთა არველაძემ შოტლანდიური „რეინჯერსიდან" ჰოლანდიურ „ალკმაარში" გადაინაცვლა, „ფრაიბურგიდან" წამოსული ლევან ცქიტიშვილი დონეცკის „მეტალურგს" ორ თვეში გაეყარა და კონტრაქტი ბუნდესლიგისვე „ვოლფსბურგთან" გააფორმა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი ინგლისურ პრემიერლიგაში ისევ გამოჩნდა ქართველი ფეხბურთელი — „რეინჯერსმა" ზურაბ ხიზანიშვილი „ბლექბერნში" გაანათხოვრა.

.....

7 სექტემბერს დანიის ნაკრებთან შეხვედრაში საქართველოს ეროვნული გუნდი 1:6 დამარცხდა. ჩვენი ნაკრების ისტორიაში ეს ოფიციალურ შეხვედრებში ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხია. მანამდე საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტი გოლი ოფიციალურ შეხვედრაში თურქეთთან (2:5) ჰქონდა გაშვებული, ყველაზე დიდი — სამბურთიანი სხვაობა კი რამდენჯერმე დაფიქსირებულა...

.....

16 ნოემბერს იორდანიის ნაკრებთან 3:2 გამარჯვების შემდეგ გაცხადდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელის ძიება. გაიოზ დარსაძის სანაკრებო კარიერას წერტილი რეალურად უკვე იორდანიასთან მატჩამდე, 12 ნოემბერს სოფიაში ბულგარელებთან ამხანაგურ მატჩში 2:6 მარცხის შემდეგ დაესვა.

.....

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი თბილისის „დინამო" 80 წლის გახდა. ეს თარიღი დინამოელებმა ქვეყნის ჩემპიონობით და სუპერთასის მოგებით აღნიშნეს.

.....

ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენთან" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის შეხვედრაში ლევან კობიაშვილმა ჰეთ თრიქი შეასრულა. შეხვედრა გელზენკირხენის „შალკეს" გამარჯვებით 3:0 დასრულდა, სამიდან ორი გოლი კი „კობიმ" პენალტით გაიტანა.

.....

11 დეკემბერს თბილისში საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი კლაუს ტოპმიოლერი ჩამოვიდა. ორდღიანი სტუმრობის შედეგად გერმანელ სპეციალისტთან საერთო ენის გამონახვა მოხერხდა, 25 დეკემბერს კი ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე თანხმობა განაცხადა და 2+2 სისტემით კონტრაქტის გასაფორმებლად თბილისში ნაახალწლევს ჩამოვა.

კახა კალაძემ (მარჯვნივ) საქველმოქმედო მსოფლიოს ნაკრებში ითამაშა

2005 წლის ტოპდასასრული: კლაუს ტოპმიოლერი

მისტერ ბინი არაბებთან

თვითმფრინავი, აეროპორტი და მებაჟე

შოთა არველაძეს „მისტერ ბინი" ჰოლანდიაში მაშინ შეარქვეს, როცა ამსტერდამის „აიაქსში" თამაშობდა — როუენ ატკინსონს გარეგნობითაც ჰგავხარ და მისებრ ოხუნჯობო. ქართველი „მისტერ ბინი" ახლა „ალკმაარში" თამაშობს და წარმატებითაც, თუმც ამჯერად არასაფეხბურთო ინტერვიუ ჩამოვართვით...

— ამ ახალ წელს ალბათ თვითმფრინავში შევხვდები. ექვსდღიანი შვებულება დუბაიში უნდა გავატარო და განრიგით თვითმფრინავი იქ ღამის 12 საათზე ჩადის, მაგრამ ერთ წუთს ალბათ მაინც დააგვიანებს და შევხვდები ახალ წელს თვითმფრინავის სალონში არაბებთან ერთად.

— რატომ მაინცდამაინც დუბაი?

— თბილი ქვეყნებიდან საამიროები ყველაზე უფრო ახლოსაა ჰოლანდიიდან და იმიტომ, თანაც დუბაიში ყატარიდან ჩემი ძმაკაცი რონალდ დე ბურიც ჩამოვა. საერთოდ, „ახალწლისტი" არ ვარ, ზეიმს უფრო ბავშვებისთვის ვაწყობ ხოლმე. მზე მომენატრა და დუბაიც ამიტომ ავირჩიე. უკვე მეხუთე წელია, რაც თბილისში ვერ ვხვდები ახალ წელს.

— 2005 წლის როგორი კმაყოფილი ხარ?

— სპორტული ასპექტის მხრივ, ჩემთვის კარგი წელი იყო, შოტლანდიის ჩემპიონი გავხდი და მერე „ალკმაარში" ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით კარგად წამივიდა თამაში. ორჯერ მსოფლიოს ნაკრებში მიმიწვიეს. პირად ცხოვრებაში კი ცუდი ამბავი შემემთხვა — ჯემალ ჩიმაკაძე დაილუპა.

— და ნაკრები?

— ცუდზე ლაპარაკი აღარ ღირს, მთავარია, რომ კლაუს ტოპმიოლერი გახდა გუნდის მწვრთნელი. ისე, ერთ ამბავს მოგიყვებით: ბულგარეთ-იორდანიის მატჩებისთვის ჩამოვედი თბილისში, მაგრამ ძველი, ვადაგასული პასპორტით, რადგან ძველ და ახალ პასპორტზეც ჩემი სურათის უკან წითელი ფონი იყო და ამიტომაც შემეშალა. მოკლედ, ჩამოვედი თბილისის აეროპორტში და მებაჟემ ყველაფერი შეამჩნია, თუმც მაინც შემომიშვეს სამშობლოში. თბილისში პასპორტის საკითხი მოვაგვარე და როცა ბულგარეთთან 2:6-ით დავბრუნდით თბილისში, აეროპორტში კვლავ ის მებაჟე შემხვდა — ისევ ვადაგასული პასპორტი ხომ არ გაქვსო, მკითხა და ვუპასუხე — ვადაგასული პასპორტი კი არა, მე ვარ და ამას ვეღარ ხვდები-მეთქი. ასე იყო საქმე, მაგრამ იორდანიასთან უკვე პასპორტიც გამოცვლილი მქონდა და ფეხებიც კარგად ვათამაშე...

დავით თავართქილაძე

ბადრი კვირკელიძის ფოტო

ჩხეიკ და... გეგოვიდა!!





SAHRF


85

16


TEXAS
56

INTERSPORT
uefa.com
uefa.com
SILVER CROSS



2005: წავიდა ჰე...

მოდით, გავიხსენოთ, რით იყო მნიშვნელოვანი 2005 წელი საერთაშორისო ფეხბურთის მოყვარულთათვის. წვრილმანებს ნუ გამოვედევნებით და ისე ჩამოვთვალოთ

დავიწყოთ, მაგალითად, იმით, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ერთმანეთს მილანის ორი გუნდი, „მილანი“ და „ინტერი“ შეხვდა, რომელთა დაპირისპირებაც... ვერ დამთავრდა. მიზეზი: „შავ-წითლებმა“ „შავ-ლურჯებს“ ისე გაუშავეს საქმე, რომ ამ უკანასკნელთა ქომაგებმა შავი საქმე ჩაიდინეს.

შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ვახსენოთ. დიდებული ფინალი-სანახაობა იყო: პირველ ტაიმს „მილანი“ იგებდა 3:0-ს, მეორეში „ლივერპულმა“ გაათანაბრა და საბოლოოდ პენალტებშიც გაიმარჯვა. ეს შეხვედრა ლიგის ფინალთა შორის შესაძლოა, ყველაზე დრამატულიც გახლდათ.



უეფას თასის ფინალი კი იმით გამოდგა საინტერესო, რომ ისტორიაში პირველად დიდი ევროპული ჯილდო რუსულმა გუნდმა, კერძოდ, ცსკა-მ მოიგო. ჩვენი მხრივ დავძენთ: თუკი ეს მოვლენა რუსული არმიის პროფილის შეცვლაზე მიუთითებს, მივესალმებით.



ზაფხულში კი იყო ფიფას კონფედერაციათა თასი, რომელიც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძელ გერმანიაში ჩატარდა და ძლიერი ბრაზილიით, მექსიკით, რამდენიმე კარგი მატჩით და თავსხმის დროს კაიზერსლაუტერნის სტადიონის გახვრეტილი ჭერით დაგვამახსოვრა თავი.

ინგლისის ჩემპიონი გახდა „ჩელსი“, რომელსაც მანამდე მხოლოდ ერთხელ, ზუსტად 50 წლის წინ გაემარჯვა.



საზაფხულო ტრანსფერთაგან მნიშვნელოვანი და 20 მილიონი ევროს ფარგლებში შეფასებული გახლდათ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, პატრიკ ვიეირას ტრანსფერი ლონდონის „არსენალიდან“ ტურინის „იუვენტუსში“.



შემოდგომაზე გაირკვა 2006 წლის მუნდიალის 32 ფინალისტის ვინაობა, რომელთა შორის მრავლად აღმოჩნდნენ დებიუტანტები, კერძოდ: უკრაინა, ტოგო, კოტ დივუარი, ანგოლა, განა. მსოფლიოს ჩემპიონატს დაუბრუნდა ძალიან დიდი ხნის უნახავი ავსტრალია, ხოლო ორი წლის წინანდელი სენსაცია, ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები, უკაცრავად და, საერთოდ ვერ მოხვდა მუნდიალზე.

2005 წელს გარდაიცვალა წარსული დროების დიდი ინგლისელი ფეხბურთელი ჯორჯ ბესტი.

„ფრანს ფუტბოლმა“ რონალდინიო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა. ბრაზილიელი ფიფას გამოკითხვითაც საუკეთესო გახდა — მოგეხსენებათ, ფიფა ყოველწლიურად მსოფლიოს საუკეთესოს ავლენს.

2005 წელს „ბარსელონამ“ მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალი“ გააბითურა, 3:0 მოუგო. ეს გახლდათ რონალდინიოს და მისი თანაგუნდელების მოწყობილი სპექტაკლი, რასაც მადრიდელმა გულშემატკივარმა ტაში დაუკრა.



და, ეჰ, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“... პირველად ისტორიაში ალექს ფერგიუსონის გუნდი, რომელსაც ამ შემოდგომაზევე დიდი კაპიტანი, როი კინი გაექცა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან ისე გავარდა, რომ უეფას თასზეც ვერ გადავიდა.

აი, დიეგო მარადონაზე კი ამ ორი ფოტოთი შეგიძლიათ იმსჯელოთ...

სარბიელი: პროპი

წარმოგიდგენთ

წინასაახალწლო დღეებში „პროპი“ იმუშავებს 30 დეკემბრის ჩათვლით, მუშაობას ეი გაანახლებს 8 იანვარს

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. პრემიერლიგა								
28 დეკემბერი								
23:45	15	არსენალი-პორტსმუთი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
23:45	17	ბირმინგემი-მანჩესტერი	6.50	4.00	1.45	2.47	1.18	1.06
23:45	19	ფულემი-ასტონ ვილა	2.05	3.20	3.35	1.24	1.27	1.63
23:45	20	სიტი-სელსი	5.80	3.60	1.55	2.22	1.22	1.08
23:45	22	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
23:45	23	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	3.30	3.20	2.10	1.62	1.28	1.26
23:45	24	ვესტ ჰემი-უიგანი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
23:45	25	ევერტონი-ლივერპული	4.50	3.20	1.80	1.87	1.28	1.15
23:45	27	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
23:45	28	ბოლტონი-მიდლსბრო	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
ინგლისი. ჩემპიონატი								
28 დეკემბერი								
23:45	62	პალი-იფსვიჩი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
23:45	63	ლუტონი-ბრაიტონი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
23:45	64	ქოვენთრი-ქრიუ	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	65	უენსდი-კუალიფრაქემტონი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
23:45	66	სტოკი-ლიდსი	2.45	2.90	2.65	1.32	1.27	1.38
23:45	67	საუთჰემტონი-შეფილდი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
23:45	68	ბლიმუთი-პრესტონი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
23:45	69	ქარ-კარდიფი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
23:45	70	მილუოლი-უოტფორდი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
23:45	71	ნორვიჩი-ბარნლი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
23:45	72	რედინგი-ლესტერი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:45	73	კრისტალ პალასი-დერბი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
ინგლისი. I ლიგა								
28 დეკემბერი								
23:30	108	სუტონ-ბუნდი	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
23:45	109	ბარნზლი-ბარნლი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	110	ბრედფორდი-უოლსალი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
23:45	111	ბრისტოლი-როტერჰემი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
23:45	112	ბლეკპული-ოლდჰემი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
23:45	113	დონსი-ნოტინგემი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
23:45	114	ჰარტლფული-საუთენდი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:45	115	ჰალიფაქსი-პორტ ვალე	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
23:45	116	კიდერმინსტერი-სკანთორპი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	117	დონკასტერი-ბრენტფორდი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:45	118	ტრანმერი-ოლდჰემი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
23:45	119	სუონსი-უოლინგემი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
ინგლისი. II ლიგა								
28 დეკემბერი								
16:00	156	სესტერი-რექსემი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
23:30	157	დარლინგტონი-ბარნეტი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
23:45	158	გრიმსბი-ლინკოლნი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
23:45	159	მენსფილდი-რიოდერჰი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:45	160	ნიტსი-ნორთჰემტონი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
23:45	161	პეტერბორო-იფსვიჩი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
23:45	162	როჩდეილი-ბერი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
23:45	163	შრიუსბერი-ტაკლფილდი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
23:45	164	რაშდენი-ხულტენემი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:45	165	ბოსტონი-კარლაილი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	166	სტოკპორტი-ტორკი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
29 დეკემბერი								
23:45	167	უოლსოლი-ლეიტონი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
შოტლანდია. პრემიერლიგა								
31 დეკემბერი								
18:00	232	რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი	1.25	4.60	9.50	1.00	1.10	3.09
18:00	233	აბერდინი-ინვერნესი	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
18:00	234	ლივინგსტონი-მეზერველი	2.60	3.00	2.45	1.39	1.26	1.34
18:00	235	ფილკირკი-დანფერმლაინი	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
1 იანვარი								
18:00	236	პართსი-სელტიკი	2.65	3.00	2.35	1.40	1.24	1.31
2 იანვარი								
19:00	237	კილმარნოკი-პიბერნიანი	2.45	3.00	2.60	1.34	1.26	1.39
იტალია. სერია A								
7 იანვარი								
21:00	319	რეჯინა-ფიორენტინა	4.00	3.20	1.90	1.77	1.28	1.19
23:30	320	პალერმო-იუვენტუსი	4.30	3.30	1.80	1.86	1.26	1.16
8 იანვარი								
18:00	322	კიეტო-ლეჩე	1.65	3.30	5.20	1.10	1.25	2.01
18:00	323	ლაციო-ასკოლი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
18:00	324	სამპდორია-ლივორნო	1.90	3.10	4.00	1.17	1.28	1.74
18:00	325	სიენა-ინტერი	5.30	3.30	1.65	2.03	1.25	1.10
18:00	326	ტრევიზო-რიომა	3.90	3.20	1.90	1.75	1.27	1.19
18:00	327	კალიარი-უდინეზე	2.60	2.90	2.75	1.37	1.33	1.41
18:00	328	ემპოლი-მესინა	1.90	3.10	4.20	1.17	1.30	1.78
23:30	329	მილანი-პარმა	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
ესპანეთი. I დივიზიონი								
7 იანვარი								
23:00	614	ბილბაო-დეპორტივო	2.60	3.00	2.60	1.39	1.29	1.39
23:45	615	ესპანიოლი-ბარსელონა	7.00	3.90	1.45	2.50	1.20	1.05
8 იანვარი								
20:00	617	მალიორკა-ბეტისი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
20:00	618	კადისი-ხეტაფე	2.30	3.10	2.95	1.32	1.29	1.51
20:00	619	სევილია-მალაგა	1.70	3.40	4.70	1.13	1.24	1.97
20:00	620	სელტა-სიხიედადი	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
20:00	621	ალავესი-სარაგოსა	2.40	3.10	2.85	1.35	1.30	1.48
20:00	622	ოსასუნა-რასინგი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
22:00	624	ვილიარეალი-რეალი	2.50	3.20	2.65	1.40	1.28	1.44
23:45	625	ატლეტიკო-ვალენსია	2.60	3.10	2.60	1.41	1.29	1.41
საფრანგეთი. I დივიზიონი								
4 იანვარი								
21:15	637	სტრასბურგი-ლიონი	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08
23:30	638	ლე მანი-მეცი	1.80	3.20	4.10	1.15	1.25	1.79
23:30	639	ნანსი-ბორდო	2.70	2.80	2.60	1.37	1.32	1.34
23:30	640	ნანტი-რენი	2.05	2.90	3.50	1.20	1.29	1.58
23:30	641	მონაკო-ოქსერი	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
23:30	642	ნიცა-ტულუზი	1.85	2.90	4.30	1.12	1.29	1.73
23:30	643	სტ-ეტიენი-ტრუა	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01
23:30	644	ლილი-აიაქსი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
23:45	645	მარსელი-ლანსი	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
5 იანვარი								
23:45	646	ოსერი-მონაკო	2.05	2.90	3.40	1.20	1.27	1.56
საბერძნეთი								
8 იანვარი								
17:00	685	პანიონიოსი-ეგალეო	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
17:00	686	აერიოსი-ერაკლეოსი	1.50	3.50	6.20	1.04	1.20	2.23
17:00	687	პანათინაიკოსი-ოლიმპია	1.20	5.30	10.00	1.00	1.07	3.46
17:00	688	ქანთი-აეკ	2.75	3.00	2.45	1.43	1.29	1.34
17:00	689	ლეგადეიკოსი-ოფი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
17:00	690	იონიკოსი-ოლიმპიაკოსი	8.00	4.50	1.30	2.88	1.11	1.00
17:00	692	კალამარია-პაიკ	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08
17:00	693	კალითეა-ირაკლისი	2.55	3.10	2.50	1.39	1.26	1.38
ჰოკეი. შვედეთი								
28 დეკემბერი								
22:00	411	მორა-მოდო	2.10	4.50	2.25	1.43	1.08	1.50
ჰოკეი. ჩეხეთი								
28 დეკემბერი								
20:00	439	ტრინეკი-სლავია	2.50	4.20	1.85	1.56	1.06	1.28
20:00	440	ვსეტინი-ვეტკოვიცე	3.20	4.30	1.65	1.83	1.08	1.19
20:30	441	ლიტვინოვი-ოუდეიოვიცე	1.90	4.20	2.50	1.30	1.07	1.56
20:30	442	კლადნო-ზნოიმო	2.15	4.00	2.30	1.39	1.11	1.46
21:00	443	პარდუბიცე-ჰლინეკი	1.70	4.30	3.00	1.21	1.08	1.76
ჰოკეი								
გერმანია								
28 დეკემბერი								
22:30	467	კიელნი-კრეფელდი	1.65	4.30	3.00	1.19	1.06	1.76
22:30	468	მანჰეიმი-ფრანკფურტი	2.30	4.10	2.10	1.47	1.09	1.38
22:30	469	დიუსელდორფი-მანაიმი	1.80	4.20	2.60	1.25	1.06	1.60
22:30	470	ლეისბერგი-კასელი	1.85	4.30	2.60	1.29	1.08	1.62
22:30	472	პანგერი-ავსბურგი	2.00	4.30	2.30	1.36	1.06	1.49
22:30	473	აუგსბურგი-ინგოლშტადი	2.60	4.30	1.85	1.62	1.08	1.29
ჰოკეი. რუსეთი								
29 დეკემბერი								
15:00	880	ვიტიაზი-ლოკომოტივი	3.50	4.50	1.55	1.96	1.07	1.15
15:00	881	სიბირსკი ბოგატირი-ავანგარდი	2.80	4.30	1.80	1.69	1.09	1.26
15:00	882	ს.პეტერბურგი-ნიომეგი	2.05	4.10	2.35	1.36	1.09	1.49
15:00	883	სუპერსტალი-დინამო	2.70	4.30	1.80	1.65	1.08	1.26
15:00	884	სიბირი-ლადა	1.75	4.50	2.80	1.25	1.07	1.72
15:00	885	ატლანტი	2.10	4.30	2.20	1.41	1.07	1.45
15:00	886	სპარტაკი-მოსკოვი	1.45	4.60	4.20	1.10	1.07	2.19
15:00	887	მეტალურგი-ნ ბარნი	3.30	4.40	1.55	1.88	1.05	1.14
კალათბურთი. იტალია								
28 დეკემბერი								
23:30	550	ბენეტონი-ვარეზე	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	551	რიხეტო-აველინო	1.30	12.00	2.85	1.17	1.00	2.30
23:30	552	მილანი-უდინე	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	553	ბოლონია-ორლანდო	1.10	12.00	5.50	1.00	1.00	3.77
23:30	554	ლივორნო-ხიენა	2.40	12.00	1.40	2.00	1.00	1.25
23:30	555	ნაპოლი-კალაბრია	1.15	12.00	3.80	1.04	1.00	2.88
23:30	556	რომა-კანტუ	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	557	ბიბონა-ვიბოლონია	1.80	12.00	1.80	1.56	1.00	1.56
23:30	558	ბიელა-ტერაზა	1.30	12.00	2.85	1.17	1.00	2.30

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11015	არსენალი-პორტსმუთი	1.40	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11017	ბირმინგემი-მანჩესტერი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.90
11019	ფულემი-ასტონ ვილა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11022	ნიუკასლი-ჩარლტონი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11024	ვესტ ჰემი-უიგანი	3.00	20.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11025	ევერტონი-ლივერპული	6.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	2.00	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11028	ბოლტონი-მიდლსბრო	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11319	რეჯინა-ფიორენტინა	6.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11320	პალერმო-იუვენტუსი	6.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11322	კიეტო-ლეჩე	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11323	ლაციო-ასკოლი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11324	სამპდორია-ლივორნო	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11325	სიენა-ინტერი	7.00	10.00	20.00	8.00	4.40	3.50	20.00	10.00	2.20
11326	ტრევიზო-რომა	5.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.50
11327	კალიარი-უდინეზე	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11328	ემპოლი-მესინა	2.50	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11329	მილანი-პარმა	1.35	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11614	ბილბაო-დეპორტივო	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11615	ესპანიოლი-ბარსელონა	10.00	10.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.80
11617	მალიორკა-ბეტისი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11618	კადისი-ხეტაფე	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11619	სევილია-მალაგა	2.45	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11620	სელტა-სიხიედადი	2.65	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.50
11621	ალავესი-სარაგოსა	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11622	ოსასუნა-რასინგი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11624	ვილიარეალი-რეალი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11625	ატლეტიკო-ვალენსია	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაანაზუსტეთ

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10015	არსენალი-პორტსმუთი	1.35	3.00	8.00	1.00	1.15	2.18
10017	ბირმინგემი-მანჩესტერი	6.00	2.50	1.60	1.76	1.26	1.00
10019	ფულემი-ასტონ ვილა	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
10020	სიტი-ჩელსი	6.00	2.20	1.75	1.60	1.35	1.00
10022	ნიუკასლი-ჩარლტონი	2.00	2.10	5.20	1.02	1.44	1.49
10023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	3.80	2.00	2.40	1.31	1.47	1.09
10024	ვესტ ჰემი-უიგანი	2.50	2.00	3.70	1.11	1.49	1.29
10025	ევერტონი-ლივერპული	4.80	2.10	2.15	1.46	1.48	1.06
10027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.85	2.20	5.70	1.00	1.39	1.58
10028	ბოლტონი-მიდლსბრო	2.25	2.00	4.30	1.05	1.47	1.36
10319	რეჯინა-ფიორენტინა	4.30	2.10	2.25	1.41	1.47	1.08
10320	პალერმო-იუვენტუსი	4.20	2.00	2.20	1.35	1.44	1.04
10322	კიევო-ლეჩე	2.00	2.10	4.80	1.02	1.41	1.46
10323	ლაციო-ასკოლი	1.85	2.20	5.50	1.00	1.38	1.57
10324	სამპდორია-ლივორნო	2.25	2.30	4.20	1.13	1.46	1.48
10325	სიენა-ინტერი	5.30	2.30	2.00	1.60	[illegible]	1.06
10326	ტრევიზო-რომა	4.30	2.00	2.25	[illegible]	[illegible]	[illegible]
10327	კალიარი-უდინეზე	3.00	2.00	2.85	1.20	1.46	1.17
10328	ემპოლი-მესინა	2.15	2.00	4.40	1.03	1.44	1.37
10329	მილანი-პარმა	1.35	2.80	6.50	1.00	1.11	1.95
10614	ბილბაო-დეპორტივო	2.90	2.00	3.00	1.18	1.47	1.20
10615	ესპანიოლი-ბარსელონა	6.50	2.40	1.75	1.75	1.37	1.01
10617	მალიორკა-ბეტისი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10618	კადისი-ხეტაფე	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10619	სევილია-მალაგა	2.10	2.00	4.80	1.02	1.46	1.41
10620	სელტა-სოსიედადი	2.25	2.00	4.60	1.05	1.51	1.39
10621	ალავესი-სარაგოსა	2.75	2.00	3.40	1.15	1.52	1.25
10622	ოსასუნა-რასინგი	1.85	2.10	6.00	1.00	1.41	1.55
10624	ვილიარეალი-რეალი	2.85	2.00	3.00	1.17	1.46	1.20
10625	ატლეტიკო-ვალენსია	2.90	2.00	3.00	1.18	1.47	1.20

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12015	არსენალი-პორტსმუთი	1.90	1.70
12017	ბირმინგემი-მანჩესტერი	1.70	1.90
12019	ფულემი-ასტონ ვილა	1.70	1.90
12020	სიტი-ჩელსი	1.70	1.90
12022	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.70	1.90
12023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	1.60	2.00
12024	ვესტ ჰემი-უიგანი	1.70	1.90
12025	ევერტონი-ლივერპული	1.70	1.90
12027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.70	1.90
12028	ბოლტონი-მიდლსბრო	1.70	1.90
12319	რეჯინა-ფიორენტინა	1.70	1.90
12320	პალერმო-იუვენტუსი	1.70	1.90
12322	კიევო-ლეჩე	1.70	1.90
12323	ლაციო-ასკოლი	1.70	1.90
12324	სამპდორია-ლივორნო	1.70	1.90
12325	სიენა-ინტერი	1.90	1.70
12326	ტრევიზო-რომა	1.70	1.90
12327	კალიარი-უდინეზე	1.70	1.90
12328	ემპოლი-მესინა	1.70	1.90
12329	მილანი-პარმა	2.00	1.60
12614	ბილბაო-დეპორტივო	1.70	1.90
12615	ესპანიოლი-ბარსელონა	2.00	1.60
12617	მალიორკა-ბეტისი	1.60	2.00
12618	კადისი-ხეტაფე	1.70	1.90
12619	სევილია-მალაგა	1.70	1.90
12620	სელტა-სოსიედადი	1.70	1.90
12621	ალავესი-სარაგოსა	1.60	2.00
12622	ოსასუნა-რასინგი	1.70	1.90
12624	ვილიარეალი-რეალი	1.90	1.70
12625	ატლეტიკო-ვალენსია	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13015	არსენალი-პორტსმუთი	1.90	1.70
13017	ბირმინგემი-მანჩესტერი	1.70	1.90
13019	ფულემი-ასტონ ვილა	1.70	1.90
13020	სიტი-ჩელსი	1.90	1.70
13022	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.70	1.90
13023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	1.70	1.90
13024	ვესტ ჰემი-უიგანი	1.70	1.90
13025	ევერტონი-ლივერპული	1.70	1.90
13027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.70	1.90
13028	ბოლტონი-მიდლსბრო	1.70	1.90
13319	რეჯინა-ფიორენტინა	1.70	1.90
13320	პალერმო-იუვენტუსი	1.70	1.90
13322	კიევო-ლეჩე	1.70	1.90
13323	ლაციო-ასკოლი	1.90	1.70
13324	სამპდორია-ლივორნო	1.70	1.90
13325	სიენა-ინტერი	1.90	1.70
13326	ტრევიზო-რომა	1.70	1.90
13327	კალიარი-უდინეზე	1.70	1.90
13328	ემპოლი-მესინა	1.70	1.90
13329	მილანი-პარმა	2.00	1.55
13614	ბილბაო-დეპორტივო	1.70	1.90
13615	ესპანიოლი-ბარსელონა	1.90	1.70
13617	მალიორკა-ბეტისი	1.70	1.90
13618	კადისი-ხეტაფე	1.70	1.90
13619	სევილია-მალაგა	1.70	1.90
13620	სელტა-სოსიედადი	1.70	1.90
13621	ალავესი-სარაგოსა	1.70	1.90
13622	ოსასუნა-რასინგი	1.70	1.90
13624	ვილიარეალი-რეალი	1.70	1.90
13625	ატლეტიკო-ვალენსია	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი დაგებულად ჩაითვლება)

14015	არსენალი-პორტსმუთი	1.06	2.90
14017	ბირმინგემი-მანჩესტერი	2.60	1.20
14019	ფულემი-ასტონ ვილა	1.80	2.00
14020	სიტი-ჩელსი	2.50	1.30
14022	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.45	2.40
14023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	2.10	1.75
14024	ვესტ ჰემი-უიგანი	1.75	2.10
14025	ევერტონი-ლივერპული	2.30	1.45
14027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.30	2.50
14028	ბოლტონი-მიდლსბრო	1.60	2.30
14319	რეჯინა-ფიორენტინა	2.30	1.60
14320	პალერმო-იუვენტუსი	2.30	1.55
14322	კიევო-ლეჩე	1.45	2.40
14323	ლაციო-ასკოლი	1.30	2.50
14324	სამპდორია-ლივორნო	1.60	2.30
14325	სიენა-ინტერი	2.40	1.40
14326	ტრევიზო-რომა	2.30	1.60
14327	კალიარი-უდინეზე	1.90	1.90
14328	ემპოლი-მესინა	1.55	2.30
14329	მილანი-პარმა	1.05	2.90
14614	ბილბაო-დეპორტივო	1.90	1.90
14615	ესპანიოლი-ბარსელონა	2.60	1.20
14617	მალიორკა-ბეტისი	1.75	2.00
14618	კადისი-ხეტაფე	1.80	2.00
14619	სევილია-მალაგა	1.45	2.40
14620	სელტა-სოსიედადი	1.60	2.30
14621	ალავესი-სარაგოსა	1.85	1.95
14622	ოსასუნა-რასინგი	1.30	2.50
14624	ვილიარეალი-რეალი	1.80	1.90
14625	ატლეტიკო-ვალენსია	1.90	1.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15015	არსენალი-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15017	ბირმინგემი-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15019	ფულემი-ასტონ ვილა	3.00	2.80	2.00
15020	სიტი-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15022	ნიუკასლი-ჩარლტონი	3.00	2.80	2.00
15023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	3.00	2.80	2.00
15024	ვესტ ჰემი-უიგანი	3.00	2.80	2.00
15025	ევერტონი-ლივერპული	3.00	2.80	2.00
15027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	3.00	2.80	2.00
15028	ბოლტონი-მიდლსბრო	3.00	2.80	2.00
15319	რეჯინა-ფიორენტინა	3.00	2.80	2.00
15320	პალერმო-იუვენტუსი	3.00	2.80	2.00
15322	კიევო-ლეჩე	3.00	2.80	2.00
15323	ლაციო-ასკოლი	3.00	2.80	2.00
15324	სამპდორია-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15325	სიენა-ინტერი	3.00	2.80	2.00
15326	ტრევიზო-რომა	3.00	2.80	2.00
15327	კალიარი-უდინეზე	3.00	2.80	2.00
15328	ემპოლი-მესინა	3.00	2.80	2.00
15329	მილანი-პარმა	3.00	2.80	2.00
15614	ბილბაო-დეპორტივო	3.00	2.80	2.00
15615	ესპანიოლი-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15617	მალიორკა-ბეტისი	3.00	2.80	2.00
15618	კადისი-ხეტაფე	3.00	2.80	2.00
15619	სევილია-მალაგა	3.00	2.80	2.00
15620	სელტა-სოსიედადი	3.00	2.80	2.00
15621	ალავესი-სარაგოსა	3.00	2.80	2.00
15622	ოსასუნა-რასინგი	3.00	2.80	2.00
15624	ვილიარეალი-რეალი	3.00	2.80	2.00
15625	ატლეტიკო-ვალენსია	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეში (ძირ დრო)

16015	არსენალი-პორტსმუთი	1.05	6.00
16017	ბირმინგემი-მანჩესტერი	3.90	1.15
16019	ფულემი-ასტონ ვილა	1.45	2.40
16020	სიტი-ჩელსი	3.60	1.15
16022	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.25	3.20
16023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	2.30	1.45
16024	ვესტ ჰემი-უიგანი	1.50	2.20
16025	ევერტონი-ლივერპული	2.80	1.30
16027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.15	3.80
16028	ბოლტონი-მიდლსბრო	1.35	2.60
16319	რეჯინა-ფიორენტინა	2.60	1.35
16320	პალერმო-იუვენტუსი	2.60	1.35
16322	კიევო-ლეჩე	1.25	3.20
16323	ლაციო-ასკოლი	1.20	3.40
16324	სამპდორია-ლივორნო	1.35	2.60
16325	სიენა-ინტერი	3.20	1.25
16326	ტრევიზო-რომა	2.60	1.35
16327	კალიარი-უდინეზე	1.85	1.70
16328	ემპოლი-მესინა	1.30	2.90
16329	მილანი-პარმა	1.04	6.50
16614	ბილბაო-დეპორტივო	1.80	1.80
16615	ესპანიოლი-ბარსელონა	4.20	1.10
16617	მალიორკა-ბეტისი	1.50	2.20
16618	კადისი-ხეტაფე	1.55	2.30
16619	სევილია-მალაგა	1.25	3.00
16620	სელტა-სოსიედადი	1.35	2.60
16621	ალავესი-სარაგოსა	1.60	2.10
16622	ოსასუნა-რასინგი	1.20	3.20
16624	ვილიარეალი-რეალი	1.70	1.90
16625	ატლეტიკო-ვალენსია	1.80	1.80

გოლი:წყვილი-1(თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17015	არსენალი-პორტსმუთი	1.85	1.95
17017	ბირმინგემი-მანჩესტერი	1.85	1.95
17019	ფულემი-ასტონ ვილა	1.85	1.95
17020	სიტი-ჩელსი	1.85	1.95
17022	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.85	1.95
17023	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	1.85	1.95
17024	ვესტ ჰემი-უიგანი	1.85	1.95
17025	ევერტონი-ლივერპული	1.85	1.95
17027	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.85	1.95
17028	ბოლტონი-მიდლსბრო	1.85	1.95
17319	რეჯინა-ფიორენტინა	1.85	1.95
17320	პალერმო-იუვენტუსი	1.85	1.95
17322	კიევო-ლეჩე	1.85	1.95
17323	ლაციო-ასკოლი	1.85	1.95
17324	სამპდორია-ლივორნო	1.85	1.95
17325	სიენა-ინტერი	1.85	1.95
17326	ტრევიზო-რომა	1.85	1.95
17327	კალიარი-უდინეზე	1.85	1.95
17328	ემპოლი-მესინა	1.85	1.95
17329	მილანი-პარმა	1.85	1.95
17614	ბილბაო-დეპორტივო	1.85	1.95
17615	ესპანიოლი-ბარსელონა	1.85	1.95
17617	მალიორკა-ბეტისი	1.85	1.95
17618	კადისი-ხეტაფე	1.85	1.95
17619	სევილია-მალაგა	1.85	1.95
17620	სელტა-სოსიედადი	1.85	1.95
17621	ალავესი-სარაგოსა	1.85	1.95
17622	ოსასუნა-რასინგი	1.85	1.95
17624	ვილიარეალი-რეალი	1.85	1.95
17625	ატლეტიკო-ვალენსია	1.85	1.95

ფეხბურთელებისა არ იყოს, კალათბურთელებმაც ამ დღეებში გადაწყვიტეს ნაკრების წინამძღოლად უცხოელი მწვრთნელის დანიშვნა. თუმც კლაუს ტოპმიოლერისგან განსხვავებით, რომელიც საქართველოში სამუშაოდ პირველად მოდის, გორდონ ჰერბერტს ჩვენში მუშაობის პრაქტიკა უკვე გააჩნია. კანადელი სპეციალისტი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს ბოლო ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში თავკაცობდა და რაკი წარმატებას ვერ მიაღწია, ჩვენს ფედერაციასთან კონტრაქტი ავტომატურად გაწყდა. მიუხედავად B დივიზიონში ჩარჩენისა, გორდონის გაწეული მუშაობა უარყოფითად არ შეფასებულა, წაგება სხვა ობიექტურ მიზეზებს დაბრალდა და კალათბურთის ფედერაციამ ხელახალი მოლაპარაკება წამოიწყო კანადელ სპეციალისტებთან.

ახლა კი ირკვევა, რომ ახალი, 4-წლიანი კონტრაქტი შედგენილ-შეთანხმებულია და მას ორივე, უფრო სწორად, სამივე მხარის ფაქსიმილიაღა სჭირდება. თუ რომელია ეს მესამე მხარე, ამაზე და მთლიანად სანაკრებო ამბებზე ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი გვესაუბრება.

გორდონ ჰერბერტმა საქართველო გაიხანგრძლივა



— გორდონ ჰერბერტთან მოლაპარაკება დასრულებულია, ყველაფერი შეთანხმებულია და ამ დღეებში ის საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაინიშნება.

— თუ ყველაფერი შეთანხმებულია, კონტრაქტს რატომ არ უფორმებთ ჰერბერტს?

— ასე ვთქვათ, ფორმალობებიღაა დარჩენილი და ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ. კონტრაქტის ასლი ჰერბერტს უკვე აქვს და თავის სააგენტოს თანხმობაღა აკლია, რათა ხელი მოაწეროს.

— ესე იგი, მთლად ყველაფერი არ ყოფილა შეთანხმებული...

— თითქმის გამორიცხულია, რომ ის სატრანსფერო სააგენტო, რომელშიც ჰერბერტია გაწევრიანებული, წინააღმდეგი წავიდეს მისი საქართველოს ნაკრებში დანიშვნაზე. ეს უბრალო ფორმალობაა, კლიენტი თავისი საგენტოს გვერდის ავლით კონტრაქტს ვერ გააფორმებს. ხელშეკრულებას ამ სააგენტომაც უნდა მოაწეროს ხელი, ასლი უკვე მასაც გავუგზავნეთ.

— რა პირობებია?

— ჩვენი მოთხოვნა 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა. ხელშეკრულებაც ოთხწლიანია და თუ მოვახერხებთ მიზნის მიღწევას, ჰერბერტს ალბათ კიდევ დავიტოვებთ. ამავდროულად, წარუმატებლობის შემთხვევაში, თუ, ღმერთმა არ ქნა და, ნაკრებმა რომელიმე ბარიერი ვერ გადალახა და ევროჩემპიონატზე მოხვედრის შანსი დაკარგა, კონტრაქტის გაწყვეტის უფლება გვაქვს. ეს დაახლოებით ისეთი სახის ხელშეკრულებაა, რომელიც აქამდე ჰქონდა ჰერბერტს — თუ A დივიზიონში ვერ გადაგვყვანდა, კონტრაქტი ავტომატურად წყდებოდა.

— მაინც რას ფიქრობთ, წლეულს მოესწრება ჰერბერტის დანიშვნა?

— როგორც მითხრეს, ყველაფერს წერტილი ამ კვირაში, ანუ 2005 წელს უნდა დაესვას. თუ არადა, ცოტა ხნით გადაიდება კონტრაქტის გაფორმება, რაშიც სერიოზულ პრობლემას ვერ ვხედავ.

— მოლაპარაკებების პერიოდში თუ იყო რამე წინააღმდეგობა ჰერბერტთან?

— არანაირი. მას რომ არ სდომებოდა საქართველოს ნაკრებში მუშაობის გაგრძელება, სულ იოლად დაიხურავდა ქუდს და წავიდოდა. ჰერბერტი დაინტერესებული იყო ნაკრებში დარჩენით და დარჩა კიდეც.

— მისი თანაშემწე კვლავ კენ შილდსი იქნება?

— დიახ, შილდსი. საერთოდ, საშწვრთნელო შტაბი უცვლელი იქნება.

— ჩვენი ნაკრების ერთ უცხოელზეც დაგეკითხებით. შემონდ უილიამსის ნაკრებში თამაში რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ?

— შემონდი ძალიან გამოცდილი და საჭირო კალათბურთელია. ის, ალბათ, ევროპის ნებისმიერ გუნდს გააძლიერებდა, მაგრამ თუ ნაკრების წესებს არ დაემორჩილება, გინდ უილიამსი იყოს და გინდაც სხვა, უნდა წავიდეს. ამერიკელი გამთამაშებელი კი ჩამოვიდა ნაკრების შეკრებაზე, მაგრამ არა მაშინ, როცა ეს ჩვენ გვინდოდა, არამედ მაშინ, როცა ის „ბარსელონამ" გაათავისუფლა. თუ უილიამსისგან იმის გარანტიას არ მივიღებთ, რომ თამაშამდე მინიმუმ 14 დღით ადრე ჩამოვა, მაშინ მას დავემშვიდობებით.

— თუ შემონდზე უარს იტყვით, მისი შემცვლელი შეგულებული გყავთ?

— არა და ამაზე ფედერაცია აღარ იზრუნებს. უფრო სწორედ, მოთამაშეს თავად გორდონ ჰერბერტი შეარჩევს და მოლაპარაკებასაც თავად აწარმოებს — საამისოდ მას საკმარისი ავტორიტეტი და კონტაქტები აქვს. ფედერაცია უცხოელის ნატურალიზების საქმეს იურიდიული და ფინანსური კუთხით დაეხმარება. ისე კი, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ივნვარში უილიამსს ყველაფერზე დაველაპარაკებით და მერეღა გადავწყვეტთ, ჩამოვიყვანოთ თუ არა სხვა უცხოელი.

ირაკლი პერტაია

პრენაზეა არენასი
კობიმ თავი ჩახარა



ბოსტონელი მარკუს ბენქსი მაყურებლებში აიზილა

26 დეკემბერი

მინესოტა 89:103 ფინიქსი

მინესოტა: შჩერბიაკი (27), გარნეტი (26 ქულა, 19 მოხსნა)

ცვლილებული სათადარიგო იყო

ფინიქსი: დიაუ (31 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი), ნეში (24 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), მარიონი (21 ქულა, 16 მოხსნა)

კლივლენდი 102:91 ჩიკაგო

კლივლენდი: ჯეიმსი (32 ქულა. 8 მოხსნა, 6 პასი), გუდენი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჰიუზი (19)

ჩიკაგო: დუჰონი (15), ნოჩიონი (15), ჩანდლერი (15)

ვაშინგტონი: 94:91 ლეიკერსი

ვაშინგტონი: არენასი (34), ბატლერი (16), ჯემისონი (15 ქულა, 11 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (31), პარკერი (16)

ორლანდო 108:93 მილუოკი

ორლანდო: ფრენსისი (21), ჰილი (20), ჰოვარდი (19 ქულა, 14 მოხსნა), თურქულოღლუ (14)

მილუოკი: ფორდი (19), რედი (17), მალუა (14)

ნიუ იორკი 101:109 ნიუ ჯერსი

ნიუ იორკი: მარბერი (21), რობინსონი (21), ფრაი (18)

ნიუ ჯერსი: კარტერი (27), ჯეფერსონი (23), რობინსონი (16)

დალასი 102:80 ინდიანა

დალასი: ნოვიცკი (23), ჰარისი (20), სტეკჰაუზი (15)

ინდიანა: ონილი (15)

იუტა 105:102 მემფისი

ძირითადი დრო 95:95

იუტა: კირილენკო (24 ქულა. 14 მოხსნა), ოქური (23 ქულა, 10 მოხსნა), მაკლეოდი (22), ჰარპრინგი (20)

მემფისი: გასოლი (32 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსი (25)

სიეტლი 118:111 ბოსტონი

სიეტლი: მიურეი (29), ლუისი (21), ალენი (18), კოლისონი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (43), დევისი (20)

საკრამენტო 92:105 პორტლენდი

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (19), აბდურ-რაჰიმი (18), ბიბი (13)

პორტლენდი: რენდოლფი (22), დიქსონი (21)

გოლდენ სტეიტი 112:118 დენვერი

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (26 ქულა, 12 მოხსნა), დანლივი (24), მერფი (21), დევისი (21 ქულა, 12 პასი), კემბი (18 ქულა, 15 მოხსნა)

კობი ბრაიანტის ჩაუქობამ და ბურთის ტრიალმა ამჯერად არ გაჭრა — ამას წინათ 62 ქულის მომხვეჭმა ლეიკერსელმა ვარსკვლავბიჭუნამ თავისი გუნდი ბოლო დროს დამშეული და გაავებული „ვაშინგტონისგან" ვერ იხსნა. „ვაშინგტონსაც" აღმოაჩნდა არანაკლებ ჩაუქი და ხელჯომარდი მობურთალი — ჯილბერტ არენასი და ეს საღამო მისი იყო.

საზოგადოდ არენასი და ბრაიანტი მაინც სხვადასხვა გაქანების მოთამაშეებად ჩაითვლებიან, თუნდაც იმის გამო, რომ კობიმ 25 წლისამ უკვე თითქმის ყველაფერს მიაღწია, სამგზის ჩემპიონია, ხალხმა მისი შეყვარებაც მოასწრო და შეძულებაც. არენასი კი ჯერჯერობით ერთი საშუალო გუნდის ლიდერია და ისეთი არაფერი მოუგია, განზოგადების დროს ბრაიანტს გვერდით დავუყენოთ... მაგრამ არენასმა თამაში რომ იცის და გადასარევადაც, ეს ბრაიანტმა საკუთარ თავზე გამოსცადა.

„ლეიკერსმა" უკეთ დაიწყო, პირველი მეოთხედი 9 ქულით მოუგო „ვაშინგტონს", და მეორეშიც ერთი ხანობა 16 ქულით გაექცა, მაგრამ შეხვედრის ბედი ამ დროს არ გადაწყვეტილა. კობის ჰქონდა შანსი, მეტოქე საბოლოოდ დაეთრგუნა და ნოკდაუნიდან ამდგარი ისევ წაექცია, მაგრამ ხელიდან გაუშვა და ამის გამო წააგო კიდეც. არენასი მეორე მეოთხედში გამოფხიზლდა, მესამეში კი დიდი გაქცევა მოაწყო, თავად ათი ქულა ჩააგდო და ერთი მონაკვეთი 21:3 მოაგებინა „ვაშინგტონს," რის შემდეგაც უკვე „ლეიკერსს" და მის ლიდერს მოუხდათ სხვაობაში გარღვევის დაფარვაზე წვალება, ბრაიანტმა ბოლო მეოთხედში ორი მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო და თავისიანებს თამაშის გადარჩენის შანსი მისცა, მაგრამ მანვე ბოლო წამებზე, 91:94 ანგარიშზე, მოწინააღმდეგეებით შემოჯარულმა ვერ მოახერხა კიდევ ერთი სამიანის ტყორცნა, რომელიც შეხვედრას ოვერტაიმში გადაიყვანდა და, სხვათა შორის, ბრაიანტს სწორედ ეს სამი ქულა დააკლდა არენასთან პირად დუელში.

ესეც ვთქვათ: სადღეისოდ ბრაიანტი ლიგის მექულეთა დავაში მეორეა (32,2), არენასი კი — მეოთხე (28,8).

დოვლათიანი დღე ჰქონდა კიდევ ერთ ბომბდამშენს — ბოსტონელმა პოლ პირსმა, რომელიც 26,0 ქულით ამ სიაში მეშვიდე გახლავთ, 43 ქულა უმარჯვა „სიეტლ სუპერსონიქსს", მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ყოჩაღი ბიჭი „სიეტლსაც" მოეძევება, საშუალოდ მატჩში 24,4 ქულის მშოვნელი რეი ალენი ნბა-ს ბომბარდირებში მეათეა, მაგრამ ამ შეხვედრაში ალენი 18-ით დაკმაყოფილდა და სამაგიეროდ გუნდს უფრო მეტი სარგებლობა მოუტანა — 7 მოხსნა და 6 პასი.

საშუალოდ 30,3 ქულით ბომბარდირებში საპატიო მესამე ადგილზე წამოსკუპებულმა ლებრონ ჯეიმსმა „ჩიკაგოს" 32 ჩაუგდო და თავის „კლივლენდს" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება ჩაუწერა.

კოტე ყორშია

რეგულარული ჩემპიონატი

26 დეკემბერი

კოლუმბუსი 4:3 ჩიკაგო

1:1 1:2 1:0 1:0

0:1 ლაპოინტი (4), 1:1 კლეშლა (17), 2:1 ფუტი (22), 2:2 ბაბჩუკი (26), 2:3 კიტი (33), 3:3 ჟერდევი (60), 4:3 ბალაშტიკი (63)

ედმონტონი 1:4 მინესოტა

1:0 0:2 0:2

1:0 პიზანი (15), 1:1 დიუბუი (29), 1:2 გაბორიკი (40), 1:3 როლსტონი (47), 1:4 უაიტი (60)

ატლანტა 4:0 მონრეალი

1:0 2:0 1:0

1:0 მოდრი (18), 2:0 სლეიტერი (23), 3:0 სავარი (31), 4:0 კოვალჩუკი (59)

სენტ ლუისი 1:6 დალასი

0:2 0:2 1:2

0:1 ბარნსი (4), 0:2 მიეტინენი (18), 0:3 ბარნსი (36), 0:4 მოდანო (39), 0:5 გერინი (48), 0:6 მოდანო (50), 1:6 უაიდმენი (57)

კოლორადო 7:4 ფინიქსი

3:3 0:1 4:0

0:1 დოუნი (1), 0:2 დოუნი (4), 0:3 მიხალეკი (9), 1:3 საკიკი (10), 2:3 ბლეიკი (11), 3:3 საკიკი (17), 3:4 სენდერსონი (33), 4:4 სვატოში (43), 5:4 ჰეიდუკი (52), 6:4 ლაპერიე (60), 7:4 სკრასტინში (60)

ვანკუვერი 1:2 კალგარი

0:1 0:0 1:1

0:1 ჰუსელიუსი (5), 1:1 კარტერი (46), 1:2 რეფე (49)

ლოს ანჯელესი 4:3 სან ხოსე

1:0 1:1 2:2

1:0 კამალერი (19), 1:1 მიხალეკი (35), 2:1 კორვო (39), 3:1 კონროი (41), 4:1 ეკერი (45), 4:2 ჩიჩუ (48), 4:3 ჩიჩუ (52)

ფლორიდა 2:3 ფილადელფია

0:0 1:1 1:1 0:0 0:1

ბულიტების სერიაში

1:0 ვან რინი (26), 1:1 იგერი (40), 2:1 გრეტონი (45), 2:2 იგერი (47), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი: ჰანდზუში

ბუფალო 6:3 აილენდერსი

1:3 1:0 4:0

1:0 კოტალიკი (6), 1:1 ბლეიკი (11), 1:2 იაშინი (13), 1:3 შატანი (20), 2:3 აფინოგენოვი (23), 3:3 კემპბელი (50), 4:3 ვანეკი (56), 5:3 დრური (56), 6:3 ჰეტტი (60)

ტორონტო 2:1 ნიუ ჯერსი

2:1 0:0 0:0

0:1 მედვინი (4), 1:1 სუნდინი (14), 2:1 მაკეიბი (17)

ოტავა 6:2 რეინჯერსი

4:2 1:0 1:0

1:0 ჰიტლი (3), 1:1 სტრაკა (3), 1:2 პრუხა (8), 2:2 ალფრედსონი (12), 3:2 რედენი (13), 4:2 ვოლჩენკოვი (15), 5:2 რედენი (38), 6:2 ფიშერი (46)

ტამპა 5:4 კაროლინა

2:2 2:1 0:1 1:0

1:0 მოდინი (5), 1:1 კალენი (16), 2:1 ანდრეიჩუკი (18), 2:2 სტაალი (18), 2:3 სტილმანი (24), 3:3 ანდრეიჩუკი (34), 4:3 ტეილორი (35), 4:4 კოული (41), 5:4 ბოილი (65)

ბადრი ჯიმშელიძის ფოტო

დიდების პატარა ჩემპიონი

13 წლის ეკა კაჭახიძე პეკინის ოლიმპიადას უმიზნებს

ამ დღეებში დიღმის საცურაო აუზში საქართველოს მოცურავეთა თასი გათამამდა. 50, 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ეკა კაჭახიძემ იმარჯვა. 13 წლის გოგონა, რომელმაც დიდებში პირველი თანრიგი შარშან ზაფხულს შეასრულა, ერთ-ერთ უპერსპექტიულეს სპორტსმენად ითვლება და უკვე პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც ფიქრობს. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მოპოვებული მედლებითა და დიპლომებით დატვირთული გუშინ რედაქციაში გვეწვია და სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა.

ეკას პერსპექტივა მართლაც შთამბეჭდავი აქვს. ახლო მომავალში ხარკოვში აპირებს ჩასვლას და შეესაძლოა, ვარჯიში იქვე განაგრძოს, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავის იანა კლოჩკოვას პირად მწვრთნელთან. მანამდე კი...

დავიბადე თბილისში, 1992 წლის ზაფხულში, ბარსელონაში მიმდინარე ოლიმპიური თამაშების დღეებში. მალე ოჯახი აფრიკაში გადავიდა საცხოვრებლად და ულამაზეს სამეფო მაროკოში, ქალაქ კასაბლანკაში გავიზარდე. ჩვენი სახლი ატლანტიკის ოკეანის პირას იდგა და ცურვაც პატარაობიდანვე შევიყვარე. მახსოვს, როგორ მოუთმენლად ველოდი მოქცევის დაწყებას, მერე კი დედას საბანაოროსკენ ვექაჩებოდი.

...თბილისში დაბრუნებისთანავე „ლაგუნა ვერეზე“ მიმიყვანეს და 7 წლისამ საქართველოს ბავშვთა პირველობაზე პირველი მედალიც ავიღე. იქიდან მოყოლებული, საქართველოს ჩემპიონატებზე, თასებზე, თუ თბილისის პირველობაზე სულ საპრიზო ადგილებს ვიკავებდი. ერთადერთი საერთაშორისო ტურნირი, სადაც გამოვსულვარ, ბაქოს ღია პირველობაა. აზერბაიჯანში რამდენჯერმე ჩავედით და ყოველთვის ჩემპიონი ვხდებოდი. ოცზე მეტ მედალს დ[illegible]ხიდევ უფრო მეტ დიპლომს, რა თქმა უნდა, დიდი სიხარული მოჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეული მაინც დიდებს შორის პირველი თანრიგის შესრულება იყო. ეს შარშან მოვახერხე, 12 წლისამ.

... ჩემს სპორტსმენობაში ყველაზე დიდი წვლილი მშობლებს მიუძღვით. დედაჩემი ელენე ჯაიანი ახალგაზრდობისას ფიგურულ სრიალს მისდევდა და ზამთრის სახეობებიც საოცრად შემაყვარა. ტურინის ოლიმპიურ თამაშებს მასთან ერთად მოუთმენლად ველი, ათენის ოლიმპიადა კი თავიდან ბოლომდე ვიდეოკასეტებზე გვაქვს ჩაწერილი. მამაჩემი, ლევანი, მარტო ვიდეოთეკით არ კმაყოფილდება. სპორტული მარკების, ვიმპელების, სამკერდე ნიშნებისა და ავტოგრაფების უმდიდრესი კოლექცია აქვს. სპორტის ცოცხალი ენციკლოპედიაა. 7 წლის ძმა, გიორგი, კიმანოში იძინებს და იღვიძებს, ჩვენი ტელევიზორი კი ყველაზე კარგად სპორტულ არხებს აჩვენებს.

... სამწუხაროდ, საქართველოში ერთი ძალიან ცუდი ტენდენციაა. სპორტსმენებს ჩვენით გვიწევს მეცენატების ძებნა. არადა, ეს რომ პირიქით იყოს... ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, რომელსაც სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში უკვე პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის აღება შეუძლიათ. გასაგებია, რომ ოლიმპიადების წინ ლიცენზიებს საჩუქრადაც არიგებენ და შეიძლება, ჩვენც ასე მივიღოთ, მაგრამ მინდა, ჩემით დავაგროვო საჭირო ქულები. ამისთვის პირველ რიგში ტურნირებზე წასასვლელი ფინანსების გამოძებნაა საჭირო. ჯერჯერობით ჩემი სპონსორი ოჯახია. უანგაროდ მეხმარებიან სპორტკომპლექსი „ლაგუნა ვერე“, სადაც მარინა ლომიძე მავარჯიშებს და სპორტული ინვენტარის მაღაზიათა ქსელი „ლიდერი“.

... უახლოესი ტურნირი თებერვალში მელის, სავარაუდოდ საქართველოს ჩემპიონატი, მანამდე კი ჩვეული დატვირთვებით გავაგრძელებ ვარჯიშს. ალბათ ხარკოვში ჩასვლასაც მოვასწრებ და იქნებ სავარჯიშოდაც დავრჩე. ჩემი ერთ-ერთი კერპის, იანა კლოჩკოვას პირად მწვრთნელთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. მას სურს, ჩემს მონაცემებს გაეცნოს და პასუხსაც ამის შემდეგ გვეტყვის, იმედია, დადებითს. ინტერნეტში ინტენსიურად ვადევნებთ თვალყურს ჩემი თანატოლების საუკეთესო შედეგებს და მათ თანაბრად მივყვები.

ოთარ გალლაკელიძე

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი

დავით ციხელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

არდადეგებზე

ათი დღის წინ დასრულდა 2005 წლის ბოლო სატესტო სერია და მეფორმულეებს საშობაო-საახალწლო არდადეგები დაეწყოთ. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება იმის გაგება, თუ ვინ როგორ გაატარებს ამ დღეებს.

ჩემპიონით დავიწყოთ.

ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“):

ამ ზამთარს დიდხანს დავისვენებ. სეზონი ძალიან დაძაბული იყო და მინდა, დროებით დავივიწყო პადდოკი, გემრიელად გავატარო არდადეგები ჩემს სახლში, ოქსფორდში და ოჯახთან და მეგობრებთან ერთად მშობლიურ ოვიედოში. ფორმულის ერთადერთი ხმაურიანი შეხსენება იყო ცხრა დეკემბერს მონტე კარლოში გამართული ბანკეტი, სადაც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ საჩემპიონო ჯილდო გადმომცა.

კიმი რაიკონენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი“):

სეზონის დასრულების შემდეგ ფინეთში დავბრუნდი. აქ და შემდეგ შვეიცარიაში გავატარებ შვებულებას ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. მარცხენა მუხლზე მენისკის ოპერაციის გამო რამდენიმე კვირა საერთოდ არ მივარჯიშია. მე და ჯენი ვაპირებთ, ათიოდე დღე სადმე მზეს მივეფიცხოთ, მერე კი ხუან-პაბლოსთან ერთად ვარჯიშს დავიწყებთ და ხეირიანად მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ, რომ უკვე ბაჰრეინში პირველ ეტაპზე აღმოვჩნდებით.

მიხაელ შუმახერი (გერმანია, „სკუდერია ფერარი“):

ჩემთვის სეზონთშორისი პერიოდი კორინასთან და შვილებთან დასვენებას ნიშნავს. შობა შესანიშნავი დღესასწაულია, რომ ოჯახურ წრეში გაატარო. თითქმის ყოველთვის შობას მეგობრებთან ერთად ვხვდებით ნორვეგიაში, ჩვენს სახლში. ჩვეულებრივ, საღამოობით ვთამაშობთ კარტს, ნარდს, ან უბრალოდ ვკითხულობთ. მე მიყვარს ეს წყნარი დრო. დღისით, ცხადია, თხილამურებით ვსეირნობთ.

ხუან-პაბლო მონტოია (კოლუმბია, „მაკლარენ-მერსედესი“):

შანხაიში ბოლო რბოლის შემდეგ შინ დავბრუნდი ცოლშვილთან შესახვედრად — კონი და სებასტიანი იაპონიასა და ჩინეთში ჩემს გვერდით არ იყვნენ. ზუსტად ჩვენი ქორწინების სამ წლისთავზე ჩავედი და კარგადაც აღვნიშნეთ. შემდეგ კოლუმბიაში „მობილის“ სარეკლამო ტური მოვაწყე. აქციას ცუდად არ ჩაუვლია და ბლომად ხალხიც მოიზიდა. მერე მეგობრებთან ერთად, მათ შორის ესპანელი პედრო დე ლა როსაც იყო, კარტახენაში საქველმოქმედო საკარტინგო ტურნირში ვმონაწილეობდი. შვებულება შრომის შემდეგ მოდუნების, ფიზმომზადებისა და ახალი სეზონისთვის დამუხტვის საშუალებაა.

ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „რენო“):

ზამთარში გარკვეული დროით ოჯახთან ყოფნის საშუალება მეძლევა. მიყვარს დასვენება, ჩემი გუნდის — „ფიზიკელა მოტორ სპორტ“-ის საქმეების მიხედვა, სპონსორებთან საქმიანობა. სკოლაში არდადეგებისას ოჯახთან ერთად ალპებში წავალ თხილამურებით სასრიალოდ.

რალფ შუმახერი (გერმანია, „ტოიოტა“):

შობას ტრადიციულად ოჯახთან ერთად ვხვდები ზალცბურგში, ჩვენს სახლში. შემდეგ კორასთან და მეგობრებთან ერთად ავსტრიის მთებში წავალთ თხილამურებით სასრიალოდ და გასართობად.

იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა“):

ჩინეთში დასკვნითი რბოლის შემდეგ დაძაბული სამუშაო გრაფიკი მქონდა: ვიყავი კიოლნში „ტოიოტას“ ბაზაზე, ნოემბერში გავფრინდი იაპონიაში „ფუჯის“ ტრასაზე „ტოიოტას“ სადემონსტრაციო გამოსვლებისთვის. ასე რომ, თავისუფალი დრო ბევრი არ მქონია და შობისა და ახალი წლის შემდეგ ვაპირებ დასვენებას.

რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „სკუდერია ფერარი“):

სეზონთშორის პერიოდი იმით მომწონს, რომ შემიძლია, კვლავ ჩვეულებრივ ადამიანად ვიგრძნო თავი. მაგალითად, უფროსი შვილი ედუარდო ბაღში წავიყვანო, უმცროსს — ფერნანდოს მოვეფერო, სილვანასთან ერთად კინოში წავიდე. შობას, როგორც წესი, მამაჩემის სახლში ვხვდებით, მერე კი საახალწლოდ ოკეანის სანაპიროზე მივდივართ. ფორმის შესანარჩუნებლად კარტინგით 12-საათიან რბოლაში ვიქროლე, დეკემბერში კი მოკლე ტრიატლონში ვმონაწილეობდი.

ჯენსონ ბატონი (ინგლისი, „BAR-ჰონდა“):

შობამდე საკმაოდ მჭიდრო გრაფიკი მქონდა, რომელიც ლანზაროტის საწვრთნელ ბანაკში ორკვირიანი შეკრებით დაიწყო. მერე, ტესტებს შორის ორიოდე საქველმოქმედო ღონისძიებაც იყო — კარტინგის ტურნირი, რომელსაც ჯონი ჰერბერტი ატარებს და ჩემი და ჯად ლოუს პირველი ბალი „სურვილი ჩაიფიქრე“. მერე მეორედ მომიხდა იაპონიაში, „ჰონდას“ საკვლევ ცენტრში სტუმრობა. შობის შემდეგ ვალბერგის მთებში წავალ სავარჯიშოდ. იქ არა მარტო მთიდან ჩამოსრიალება მომიწევს, არამედ უკანვე თხილამურებით ასვლა.

დევიდ კულჰარდი (შოტლანდია, „რედ ბული“):

ჩინეთის დიდი პრიზის შემდეგ რამდენიმე დღე მეგობრებთან ერთად ჰონკონგში გავატარე. ეს შესანიშნავი იყო. შობას მონტე კარლოში, ჩემს სასტუმროში ვხვდები ნათესავებთან ერთად. საშობაო ვახშამს თავად ვამზადებ იმიტომ, რომ სწორედ მე არ მიყვარს სამზარეულოში ტრიალი. ახალ წელს მეგობრებთან ერთად, ალბათ, შვეიცარიაში შევხვდები.

ITF-ის რჩეულები — ფედერერი და კლაისტერსი

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) 2005 წლის საუკეთესოები დაასახელა. ჩოგბურთის ჩინოვნიკებმა ამჯერად შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და ბელგიელი კიმ კლაისტერსი გამოარჩიეს.

ფედერერმა წლეულს მართლაც ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა, მან სულ 11 ტიტული მოიგო, აქედან ორი „დიდი მუზარადის“ ტურნირები იყო — უიმბლდონი და აშშ-ს ღია პირველობა. გარდა ამისა, მოგებულ-წაგებული მატჩების სტატისტიკაც მეტად შთამბეჭდავი ჰქონდა — 81:4.

შეგახსენებთ, რომ ფედერერი შარშანაც საუკეთესოდ დაასახელეს; ის ბიორნ ბორგის, ჯონ მაკინროის, ივან ლენდლის, პიტ სამპრასისა და ლეიტონ ჰიუიტის შემდგომ მეექვსე ჩოგბურთელია, რომელმაც ITF-ის აღიარება 2 წელიწადს ზედიზედ მოიპოვა

შვეიცარიელზე არანაკლებ კარგი სეზონი ჩაატარა კიმ კლაისტერსმაც. მან წლეულს 9 ტიტული მოიგო, მათ შორის კარიერაში პირველი „დიდი მუზარადის“ ტურნირი — აშშ-ს ღია პირველობა.

მართალია, წელიწადი კლაისტერსმა რეიტინგში მეორე საფეხურზე დაასრულა, მაგრამ მას მართლაც დიდებული სეზონი გამოუვიდა. მით უმეტეს, რომ ბელგიელს ტრავმის გამო დიდი პერიოდი გაუცდა და ამ სეზონის დასაწყისში ასეულშიც არ შედიოდა.

ანა ლომაშვილი

2005 წელი მიილია. სპორტული სეზონიც დასრულდა და წლის ბოლო „სარბიელში" იმ ღირსშესანიშნავ მომენტებს გაგახსენებთ, ყველაზე მეტად რომ დაგვამახსოვრდა. შეგიძლიათ, ნომინაციებს სახელი თავად შეურჩიოთ. გნებავთ, ნომინანტებიც შეცვალეთ. მოკლედ, 2005 წლის ყველაზე ყველაზე...



სამი წლის წინ ნიკა ცქიტიშვილი დრაფტზე მე-5 ნომრად აირჩია „დენვერ ნაგიტსმა". ნბა-ში ამხელა ნდობას ტყუილად არავინ უცხადებს ახალგაზრდა კალათბურთელს, ნიკას კი გამოუცხადეს, მაგრამ...

მას შემდეგ ცქიტიშვილის საქმეები უკან-უკან მიდის. გასულ წელს „დენვერიდან" ნიკა „გოლდენ სტეიტში" გადავიდა, სადაც სამადლო წუთებით გადიოდა მოედანზე და დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია. „ცქიტო" მალევე აიბარგა „გოლდენ სტეიტიდან", მაგრამ კიდევ უფრო უარეს გარემოში აღმოჩნდა. ოც ზე მეტი მატჩი ითამაშა ამ სეზონში „მინესოტამ", ცქიტიშვილი კი მოედანზე მხოლოდ ერთხელ, ისიც 5 წუთით გამოჩნდა.

ქართველთა უძვირესი ვარსკვლავი



არა მხოლოდ 2005 წლის, მთლიანად ქართული სპორტის უძვირესი ტრანსფერი ზაზა ფაჩულიას ეკუთვნის. ეს უდავოდ უძლიერესი ქართველი კალათბურთელი ნბა-ში ძალიან ყოჩაღობს და „ატლანტას" ხელმძღვანელობა სულაც არ ნაღვლობს, რომ მას 4 წელიწადში 16 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

საკონტრაქტო პერიოდი კი ხანგრძლივია, მაგრამ არც თანხაა მცირე. ის კი არა, ზაზა ფაჩულია დღეს ყველაზე ძვირადანაზღაურებად სპორტსმენად ითვლება. წელიწადში 4 მილიონი არც ერთ ქართველ ფეხბურთელსა და, შესაბამისად, სპორტის სხვა სახეობის მიმდევარს არ აქვს.

ყველაზე კარგი კი ის არის, რომ ზაზა თავის ხელფასს ამართლებს და უკვე დღეს რომ უმთავრდებოდეს კონტრაქტი, გაცილებით მეტსაც გადაუხდიდნენ.

ჩვენი სევდა და ჩვენი იმედი

გასულ წელს ქართველი გულშემატკივრების არაერთი სევდა მიჰყვება, რომელთა შორისაც, ალბათ, ყველაზე მტკივნეული კალათბურთელების ევროსარბიელზე წაფორხილება იყო.

ნიჭითა და პოტენციით კალათბურთელთა ნაკრებს ეგებ ვერც ვერავინ შეედაროს ჩვენში, მაგრამ რად გინდა, ქართველები B დივიზიონში ჩარჩნენ და ევროპის ელიტისკენ გზა მაკედონიელებმა გაჭრეს.

ორწლიან ციკლში ჩვენს ნაკრებს ორი უცხოელი წვრთნიდა. ხორვატ დრაჟენ ბრაიკოვიჩის ცუდად დაწყებული საქმის გამოსწორება 2004-ის ზაფხულში დანიშნულმა გორდონ ჰერბერტმა სცადა, მაგრამ...

ქართველებმა ფინეთში უპრინციპულესი მატჩი წააგეს — ზაზა ფაჩულიათი, ვლადიმერ ბოისათი, ნიკოლოზ ცქიტიშვილითა და შემონდ უილიამსით ვერ აჯობეს საშუალო და უფრო დაბალი კლასის სკანდინავიელებს.

და მაინც, ჩვენი იმედი ჩვენსავე სევდისმომგვრელებს უკავშირდება.

რეზოს წელი

ყველაზე წარმატებული ეს წელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე რევაზ მინდორაშვილისთვის იყო. სპორტსმენმა, რომელსაც ბოლო წლებში ერთი საერთაშორის ტურნირიც არ დაუსრულებია უმედლოდ, ბუდაპეშტში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე უძლიერესის ტიტული მოიპოვა. ახლახან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში პლანეტის უძლიერეს მოჭიდავედაც დაასახელა.

ბოლო წამის სიხარული

ერთა თასის ორწლიანი გათამაშების ეკვატორზე საქართველოს ნაკრები ჯგუფის ლიდერია. ბორჯღალოსნებს გულშემატკივრისთვის დიდი სიხარული მანამდეც ბევრჯერ უჩუქებიათ, მაგრამ წლევანდელი თბილისური მატჩი რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ აშკარად გამორჩეული იყო. საფინალო სასტვენს აღარაფერი აკლდა, საქართველო აგებდა და შეტევაშიც სტუმრები იყვნენ. მოულოდნელად მეტოქეს თედო ზიბზიბაძე წამოეპარა. ბურთი მოჰპარა და დაახლოებით 60-მეტრიანი რეიდი თამაშის მომგები ლელოთი დააგვირგვინა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00